

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

1921 წლის ისტორიულ-პულიტურული მოვლენები –  
საქართველოს ოკუპაცია 100 წლის პერსპექტივიდან

პროგრამა და თემისები



29 მაისი  
2021



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## სტუდენტური სამაცნეორო კონფერენცია

„1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები  
– საქართველოს ოკუპაცია  
100 წლის პერსპექტივიდან“

პროგრამა და თემისები

29 მაისი

2021

## **სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

**ნანა გაფრინდაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**ეკატერინე ნავროზაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის  
უფროსი

**ნინო პოპიაშვილი** – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და  
განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

**სოფიო თოთიძაძე** – ფილოლოგიის დოქტორი, ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და  
განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი

**მიხეილ ქართველიშვილი** – ისტორიის დოქტორი, ივანე  
ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**ანა გოგილაშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

### **რეგლამენტი:**

**მოხსენება** – 15 წუთი  
**დისკუსია** – 5 წუთი

**სამუშაო ენა** – ქართული

შაბათი, 29 მაისი

10.30

კონფერენციის გახსნა

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

მისალმება

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ  
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

შაბათი, 29 მაისი

ისტორია, პირველი სხდომა

სხდომის თავმჯდომარე –

ისტორიის დოქტორი მიხეილ ქართველიშვილი

11.00 – 13.00

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

გიორგი სვანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ბრძოლა თბილისის დასაცავად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი მიხეილ ბახტაძე

ვიკა ომანაძე

ქეთა კოდელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**1921 წლის თბილისის ბრძოლების ისტორია: მითები  
და რეალობა**

**ხელმძღვანელი: დოქტორანტი მანუჩარ გუნცაძე**

**თინათინ ფეიქრიშვილი**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსისტეტის სამართლის  
მაგისტრანტი

**პეპელა უფრო დიდხანს ცხოვრობს, ვიდრე კონსტიტუცია  
– პეპლის ეფექტი სამართალში**

**ხელმძღვანელი: პროფესორი დიმიტრი გეგენავა**

**მანანა ალოიანი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**1921 – საქართველოს ოკუპაცია 100 წლის  
პერსპექტივიდან**

**ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი დიმიტრი შველიძე**

შაბათი, 29 მაისი

**ისტორია, მეორე სხდომა**

**სხდომის თავმჯდომარე –  
დოქტორანტი ირაკლი ნოდია**

**14.00 – 17.00**

**(ზუმის აიდი 941 9708 6517)**

**ელენე მიქანაძე**

**თამარი ბიბიჩაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის  
ოკუპაციის საკითხი საზღვარგარეთ**

**ხელმძღვანელი: დოქტორანტი ირაკლი ნოდია**

**ხატია ხაბაშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

**1921 წლის ოკუპაციის ასახვა საქართველოში მიმდინარე  
პროცესებზე**

**ხელმძღვანელი: პროფესორი თინათინ მშვიდობაძე**

**ელენე ბერაია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**ეთნოგრაფიული კვლევები საქართველოში 1921 წლამდე  
და მის შემდეგ**

**ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი როზეტა გუჯევიანი**

### გიული ქისიშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი  
სოფელ წითელუბნის მეტყველების ზოგი თავისებურება  
ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

### ირაკლი ლეონიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ავტონომიური მმართველობის ასწლიანი გამოცდილება  
საქართველოში

ხელმძღვანელი: ასისტენტი ანა თოხაძე

შაბათი, 29 მაისი

### ფილოლოგია, პირველი სხდომა

სხდომის თავმჯდომარე –  
ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი

11.00 – 13.00

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

### ნინო ბიჩინაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

კონფლიქტის ზონის მკვიდრთა ტრაგიკული ცნობიერება  
თანამედროვე ქართული ლიტერატურაში (თამრი ფხავაძე,  
„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, მანანა ჩიტიშვილის  
ლიტერატურული ციკლი)

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
თამარ ბარბაქაძე

### **მარიამ თხინვალელი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**პროლეტარული მწერლობა საბჭოთა ეპოქის  
საქართველოში**

**ხელმძღვანელი:** ასოც. პროფესორი ნანა გონჯილაშვილი

### **ვიკა ჯაჯანიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**1921 წლის ოკუპაცია ლიტერატურული პერსპექტივიდან,  
ზარა არსენიშვილის „ვა, სოფელო (კახური ქრონიკები)“**

**ხელმძღვანელი:** ფილოლოგის დოქტორი, ნინო პოპიაშვილი

### **მარიამ ქვლივიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**პოლიტიკურ შეხედულებათა ცვლილება ქართველ  
სიმბოლისტთა შემოქმედებაში**

(ტიციან ტაბიძე, პალლ იაშვილი, გიორგი ლეონიძე)

**ხელმძღვანელი:** ფილოლოგის დოქტორი, სოფიკო ძელაძე

### **ნანა აფრიდონიძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

**შოთა ჩანტლაძის შემოქმედებითი ხედვის რამდენიმე  
ასპექტი**

**ხელმძღვანელი:** ფილოლოგის დოქტორი, ნინო პოპიაშვილი

### ანი ლვინაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი  
იმერული დიალექტი ოთია იოსელიანის პერსონაჟთა  
მეტყველებაში („დედა”, „დედულეთი”,  
„ჩემი „ვეფხისტყაოსანი”, „ნესვი და საზამთრო“...)

ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ კობერიძე

**ვაკათი, 29 მაისი**

**ფილოლოგია, პირველი სხდომა**

**სხდომის თავმჯდომარე –  
ასისტენტ პროფესორი ლევან ბებურიშვილი**

**14.00 – 17.00**

**(ზუმის აიდი 941 9708 6517)**

### თამთა ცერცვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

მერაბ კოსტავა ქართველი ერის კულტურული  
მისიის შესახებ

ხელმძღვანელი: ასისტენტ პროფესორი ლევან ბებურიშვილი

### სოფია ნიკოლაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ინტერტექსტუალობა მულტიგენერულ რეკლამაში,  
საქართველოს ბანკის რეკლამის ანალიზი

ხელმძღვანელი: პროფესორი მანანა რუსეიშვილი

### **მარიამ აკოფაშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

გიორგი სოსიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება (მოთხოვა „ნატყვიარი“)

**ხელმძღვანელი:** პროფესორი მარიამ კობერიძე

### **სალომე ზაქარიაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

სიძულვილის ენა უურნალ „ნიანგის“ კარიკატურებში  
(1923 წ.)

**ხელმძღვანელი:** ასისტენტ პროფესორი ნათია ფიფია

### **ნინო შავლოხაშვილი**

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ენობრივი პროცესის გაგება-გააზრების საკითხი  
ფსიქოლინგვისტიკაში

**ხელმძღვანელი:** პროფესორი მარიამ კობერიძე

### **მარიამ სამხარაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

„საშიში დაავადებები“ უურნალ ნიანგის ფურცლებზე  
(1980 წელი)

**ხელმძღვანელი:** ასისტენტ პროფესორი ნათია ფიფია

# თეზისები

## მარიამ აკოფაშვილი

### გიორგი სოსიაშვილის პერსონაჟთა მეტყველება (მოთხოვთ „ნატყვიარი“)

გიორგი სოსიაშვილის მოთხოვთა – „ნატყვიარი“ აღწერს 1923 წელს ბოლშევიკური ხელისუფლების პერიოდში დატრიალებულ უბედურებას: მათ ეკლესიის გუმბათიდან ზარი ჩამოხსნეს, მაცხოვრის ფრესკა დაცხრილეს, მღვდელი გაკრიფტეს, ნათელ-მირონობა წაახდინეს. მათ აგრეთვე ადამიანის სულში ჩაკლეს ღვთის რწმენა, სარწმუნოება დააკნინეს და ხელი ააღებინეს მასზე მოსახლეობას. ფაქტობრივად ეკლესია გააუქმეს. გაუქმებული ეკლესია კი ქვეყნისთვის მოუშუშებელი ტკივილია, შერცხვენაა ქართველი ერისა და გაპარტახება.

მნერალმა ჩვენ დაგვიხატა ბოლშევიკების მიერ ძალდატანებით გზააბნეული, სულგაყიდული სტიქაროსანი სერაპიონი, ასევე ყველა სხვა დანარჩენი პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტიც. საზოგადოდ გუმბათზე ასული კაცის დანახვა ხომ ყველას ძალუძს?! დიახ ეს ნამდვილად ასეა, თუმცალა ნამდვილი ნერალი ის არის, ვინც იმას „ხედავს“ რომ სულგაყიდული სტიქაროსანი ცაზე ომერთსა და ანგელოზებს ვეღარ ხედავს.

ავტორმა დაინახა: ადამიანების უმრავლესობა არა თუ იყო „თავის თავის უფალი“, არამედ ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი დავიწყებული ჰქონდათ და ეს ყოველივე მიმდინარეობდა სისხლის, ღალატის, გადაბირების, გვამების ფონზე. ბოლშევიკურმა წყობამ მოსპო სიყვარული ურთიერთისა, სიყვარული ღმერთისა, მათ დაწვეს უზენაესთან მისასვლელი გზა.

ამ ტრაგედიის გადმოსაცემად რა ენობრივ საშუალებებს იყენებს მწერალი? როგორ მეტყველებენ მისი პერონაჟები? როგორია მწერლის სტილი? მოთხოვთაში აღმოვაჩენთ უამრავ მაგალითს, რის საფუძველზეც შეგვეძლება ვიმსჯელოთ, ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელ საინტერესო და მრავალფეროვან ფორმებზე.

ვფიქრობთ, რომ პერსონაჟი მეტყველებს შიდაქართლურ კოლოკავზე. ავტორი არ ერიდება არც ერთი სიტყვის იმგვარად წარმოთქმას, რაც ქართლულ ხალხს გვჩვევია. პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირად გვხვდება: „რო“ (რომ-ის პარალელურად), „თითქო“ (←თითქოს), „მყაამ“, „გვყაამ“, „ჰყაავს“ (დაკარგულია ს, გრძელდება ხმოვანიც), „ხო“ (←ხომ), ჩამამიუქვა (←ჩამომიუქვა), რამოდენა (←რამდენი), შალომა (←შალომ). ხმოვანფუძიანი სახელები მოთხოვთაში შიდაქართლურისათვის დამახასიათებელი მოვლენაა).

ავტორი ხშირად იყენებს მავრცობ -ა ხმოვანს, რომელიც პარალელური ფორმების წარმოებას უწყობს ხელს. მაგალითად: სულ//სულა; ხომ//ხომა; როგორ//როგორა; მაინც//მაინცა; სა-დაც//სადაცა, შენ//შენა//შე; მაინც//მაინცა, ეს//ესა...

საინტერესოა სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებული ლექსიკური ერთეულები: ყურჭთვალა, მოუსავლეთი, მღიმარი, ამოშანთე, წავუგდე, მონაპოვარი, მღიმარი...

მწერალი ქართლურისათვის დამახასიათებელი დინჯი ტემპით ამეტყველებს თავის პერსონაჟებს და თავისებური სტილით ქმნის ფსიქოლოგიური მდგომარეობას იმ რეალობისას, სადაც უხდებოდათ მათ ცხოვრება: შიში, ძრნოლა, სიკვდილი... სიკვდილი, რომელიც ბოლშევიკებს სჭირდებოდათ ისე, როგორც ადამიანს ჰაერი. .... ხაზგასასმელია ეპილოგი, ზაქრო ფიქრობდა: „სტალინის სურათის სანახავად მოვედი და პაპაჩემის დახვრეტის ოქმი კი შემრჩა ხელშიო“.

## მანანა ალოიანი

### 1921 – საქართველოს ოკუპაცია 100 წლის პერსპექტივიდან

2021 წლის 25 თებერვალს გასაბჭოების დღიდან 100 წელი გავიდა. 100 წლის წინ, 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა წითელი არმია თბილისში შემოვიდა, რასაც მოყვა საქართველოს ანექსია – საქართველო საბჭოთა სახელმწიფო გახდა.

მოცემულ ნაშრომში ასახული ისტორიული მოვლენა- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ძალისმიერი დამხობის შემდეგ ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დომინაციის დამყარება, შეირჩა იმ მიზნით, რომ გაანალიზებულიყო თუ როგორ შეძლო ქართულმა საზოგადოებამ საბჭოთა კავშირის დომინაციის დამყარების შემდეგ ცვლილებებთან ადაპტირება.

ისტორიოგრაფიულ კვლევებში დღეს საკმაოდ აქტუალურია კოლექტიური მეხსიერების ტერმინი. ნაშრომის ფარგლებში ვის-აუბრებ კოლექტიური მეხსიერების შესახებ და ასევე იმდროინ-დელი საბჭოური პრესის ანალიზით დავახასიათებ საქართველოში საბჭოთა კავშირის რეჟიმის თავისებურებებს .

„1921 წელი საქართველოსტვის არის საბჭოთა ეპოქის და-საწყისი. ეპოქისა, რომელსაც სჭირდება ახლებური გააზრება თანამედროვე გადასახედიდან და თანამედროვე ინტერდისცი-პლინური ანალიზი. აღნიშნული განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ამ ტრაგიკული მოვლენიდან 100 წლის შემდეგ როგორც ეპოქის, ისე მისი ცალკეული ასპექტების შეფასების პერსპექტივისათვის.“ ამასთან მიმართებით საყურადღებოა დღეს მოქალაქეთა 3 თაობა: მამების, შვილებისა და შვილიშვილების თაობის მიერ საბჭოთა კავშირთან მიმართებით თავიანთი განწყობების, რწმენებისა და ღირებულებების განსაზღვრა.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საბჭოთა კავშირის დომინაციის განადგურების შემდეგ, ბოლომდე არ განადგურებულა იგი პოსტკომუნისტური საზოგადოების რიგი წევრების მეხსიერებაში.

ამ მოხსენების მიზანია, ისტორიული ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს ის მნიშვნელობა, რომელსაც ატარებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ძალისმიერი დამხობის შემდეგ ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დომინაციის დამყარება. ასევე, ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ ის შედეგები და მიღწევები, რომელიც მოჰყვა საბჭოთა რეჟიმის დასასრულს საქართველოსთვის.

## ნანა აფრიდონიძე

### შოთა ჩანტლაძის შემოქმედებითი ხედვის რამდენიმე ასპექტი

შოთა ჩანტლაძის შემოქმედება, რომელიც საბჭოთა ეპოქაში იქმნებოდა, ხასიათდება არატიპური საბჭოთა და პროლერატული ნარატივით.

შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ ეტაპზე შოთა ჩანტლაძეც ვერ ასცდა სტალინურ თემას, თუმცა მომდევნო პერიოდში ეს პროცესი უმაღლ გაქრა მნერლის ჰორიზონტიდან. გარდამტეხი მნიშველობა აქვს 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს, სადაც მკაცრად გაისმის მამხილებელი ხმა პოეტისა სისტემის წინააღმდეგ, ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „ტრამვაის რეკვიემი“, რომელიც ანტისაბჭოთა მეტაფორად შეიძლება აღვიქვათ, აქ არაერთი სახე-სიმბოლო ჩნდება, საინტერესოა ასევე მოთხოვნა „პროხორ“, რომელშიც ბოლშევიზმის ფარული კრიტიკა იკვეთება, მოთხოვნაში წარმოჩნდება ღირებულებითი განსხვავება ამ ორ ქვეყანას, რუსეთსა და საქართველოს შორის.

შოთა ჩანტლაძის პოეზია, გარდა ანტისაბჭოთა ნარატივისა, ყურადღებას იქცევს მოდერნისტული ნაკადის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა.

მოხსენებაში რამდენიმე ლექსისა თუ პოემის საფუძველზე განხილილი იქნება შოთა ჩანტლაძის შემოქმედებითი მემკიდრეობის ანტისაბჭოთა და მოდერნისტული ნარატივი.

## ელენე ბერაია

### ეთნოგრაფიული კვლევები საქართველოში 1921 წლამდე და მის შემდეგ

ქართველთა ისტორიული წარსული და კულტურა ყოველთვის მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო ქართველთა კონსოლიდაციის საქმეში. XIX საუკუნის ქართული ეროვნული მოძრაობისთვის, რომელსაც სათავეში იღია ჭავჭავაძე ედგა სწორედ ტრადიციული ქართული კულტურის ელემენტები წარმოჩნდებოდნენ ქართველთა საერთო წარსულის მაგალითებად, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ეროვნული განახლება-აღორძინება. შესაბამისად, ქართული ტრადიციული ეთნოგრაფიული ყოფისადმი სამეცნიერო ინტერესის გაღრმავება სწორედ ამ დროიდან იწყება. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ ისეთი გამორჩეული მკვლევრები, როგორიც იყვნენ ნიკო ხიზანაშვილი-ურბნელი (1851-1906), თედო სახოკია (1868-1956), გიორგი ჩიტაია (1890-1986), სერგი მაკალათია (1893-1974) და სხვ. მათ სახელთანაა დაკავშირებული ეთნოლოგის განვითარების ისტორია საქართველოში. ამასთან, მათ ნანილს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ასევე დამოუკიდებლობის დაკარგვისა და

გასაბჭოების შემდგომ პერიოდებში. ბუნებრვია, რომ პოლიტიკური წყობის ცვლილება გავლენას ახდენდა საზოგადოების და სამეცნიერო წრეების მოთხოვნილებებსა და შესაძლებლობებზე. დამოუკიდებელი საქართველოს ნინაშე მდგარი ამოცანები ეროვნული კონსოლიდაციის განმტკიცება და ეროვნულ ნიადაგზე სახელწფოებრიობის მშენებლობა იყო. 1921 წლის ოკუპაციის შემდგომ დამყარებული ხელისუფლების ამოცანა – ახალი წყობისა და ადამიანის ფორმირება, ვერ დაეფუძნებოდა მანამდე არსებულ ღირებულებებს. ისეთი სამეცნიერო დარგი, კი რომლის კვლევის საგანს ეთნიკური კულტურა და მისი მახასათებლები წარმოადგენ უპირველესად მოექცა იდეოლოგიური წნევის ქვეშ. მოხსენებაში განვიხილავ ეთნოლოგიური კვლევების თემატური და მეთოდოლოგიური ცვლილებების დინამიკას დამოუკიდებელ და საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ საქართველოში და მის შედეგებს.

### **ელენე მიქანაძე თამარი ბიბიჩაძე**

#### **1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის საკითხი საზღვარგარეთ**

მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ, როგორ გამოეხმაურა საერთაშორისო საზოგადოება საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას. საკითხს, განვიხილავთ ერთა ლიგისა და გენუის კონფერენციის მაგალითზე. ნაშრომში გამოკვეთილია, თუ რა წინააღმდეგობები არსებოდდა საქართველოსთვის საერთაშორისო აღიარების მხრივ, როგორი იყო დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება მისი სუვერენიტეტისადმი და როგორ ცდილობდა საბჭოთა რუსეთი საქართველოს ოკუპაციის წარმოჩენას, თითქოს შიდა

გადატრიალება ყოფილიყო. რუსეთის მხრიდან აგრესიამ მსოფლიოში არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. საფრანგეთმა რუსეთი გააკრიტიკა, საქართველოს ოკუპაცია დაიგმო ერთა ლიგის რეზოლუციით, თუმცა დანარჩენი სახელმწიფოები მშვიდად შეხვდნენ ამ მოვლენას, რადგან 1920წელს აზერბაიჯანის და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო, რომ შემდეგი საქართველო იქნებოდა. საყურადღებოა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, როგორი მდგომარეობა იყო ევროპაში და რა საქმიანობას ეწეოდნენ ემიგრაციაში მყოფი ქართველები. მოხსენებაში საუბარი იქნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრების და საფრანგეთში საქართველოს ელჩის მცდელობებზე, მსოფლიოსათვის ეცნობებინათ რუსეთის აგრესის შესახებ და ამით დაეცვათ ქვეყნის ინტერესები საერთაშორისო არენაზე. ასევე გამოვლენავთ როგორ შეძლო რუსეთმა საერთაშორისო პოლიტიკაში საკუთარი ინტერესების გატარება და რა ურთიერთობები ჰქონდა მას სხვა წამყვან სახელმწიფოებთან.

როგორც ვიცით, ერთა ლიგა იყო მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანი გახლდათ წევრი ქვეყნების დაცვა აგრესორებისგან. სწორედ ის მოიაზრებოდა და-საყრდენ წერტილად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკი-სთვის გამხდარიყო მისი წევრი სახელმწიფო, თუმცა უშედეგოდ. საინტერესოა საქართველოს ოკუპაციის შემდგომ ერთა ლიგის პოზიციის განხილვა და წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენელთა დამოკიდებულება საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია გენუის კონფერენციის საკითხი, სადაც კათოლიკოს-პატრიარქის ამბორის ხელაიას მემორანდუმმა უდიდესი გავლენა იქონია საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირების მხრივ ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ამ ოკუპაციის შედეგების სიმძიმის თაობაზე.

საბოლოოდ, საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთის ქმედებები შეაფასა, როგორც ოკუპაცია და დაგმო მისი აგრესია, თუმცა

საქართველოს ინტერესები მაინც უგულებელყოფილი იქნა და ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, რამეთუ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს სახელმწიფო ინტერესები სხვა მოქმედებები-სკენ უპიძებდა, მათ არ აწყობდათ საბჭოთა რუსეთთან ომის წამოწყება, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება მორალურად მხარს უჭერდა საქართველოს და აკრიტიკებდა აგრესორს. უფრო ვრცლად ამ საკითხების შესახებ წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

### ნინო ბიჩინაშვილი

**კონფლიქტის ზონის მკვიდრთა ტრაგიკული ცნობიერება  
თანამედროვე ქართული ლიტერატურაში  
(თამრი ფხაკაძე, „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“,  
მანანა ჩიტიშვილის ლიტერატურული ციკლი)**

2008 წლის აგვისტოს ომის ტრაგედია არის მთავარი თემა თამრი ფხაკაძის მოთხრობისა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“. ავტორმა შეძლო ორიგინალური კუთხით დაენახვებინა მკითხველისთვის სამაჩაბლოს მკვიდრთა ფსიქოტიპი: საკუთარი მინის სიყვარული თრგუნავს შიშის გრძნობას და ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანი გმირად, მამულის მცველად გადაიქცევა.

სამაჩაბლოს მკვიდრი, ახალგორის რაიონში დაბადებულ-გაზრდილი, ცნობილი პოეტი, მანანა ჩიტიშვილი ქსანის ხეობას ლექსების ციკლს უძღვნის: „...მაგას რა დამაჯერებდა, რომ ომსაც ვნახავდი და ეს ომი ჩემს სოფელშიც კი მოვიდოდა?“ - იხსენებს პოეტი, რომლის ლექსი „როცა“ მთამბეჭდავად გვიხატავს დროის მანძილიდან დანახული სიცრუის მძლავრობას საქართველოში: მთელი საუკუნის განმავლობაში „მოყვარე-მტრის“ მავნებლურ-

მა პოლიტიკაში მავთული-ხლართებში მოაქცია ჩვენი უძველესი სოფლები: თამარაშენი, ქურთა, ერცივი, საკორინთლო, ერცავი და ა.შ. მ. ჩიტიშვილის სიზმარი-ცხადია, ლირიკულ შედევრებად ქცეული, წუთითაც არ შორდება მშობლიურ სანახებს.

### სალომე ზაქარიაძე

#### სიძულვილის ენა ჟურნალ „ნიანგის“ კარიკატურებში (1923 წ.)

კარიკატურა, რომელიც შარჟის ნაირსახეობაა, ვიზუალური წყაროებიდან შედარებით ახალია. მისი, როგორც ისტორიული წყაროს, შესწავლის ისტორია შედარებით მოკლე ხანს ითვლის. ტ. მ. კემნიცი, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ნაშრომი, შარჟს ყოფს ორ ტიპად: პირველი იყო მოსაზრების გამომხატველი, რომლის ფუნქციად ვითარების შეჯამება დაასახელა, ხოლო მეორე ტიპის ე.წ. „სახუმარო“ შარჟი ემსახურებოდა ვითარების გამასხარავებას და იუმორის კომუნიკაციას.

საბჭოთა პერიოდში სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ საკმაოდ ცნობილი იყო. წარმოადგენდა 1922 წელს მოსკოვში დაარსებული ჟურნალ „კროკოდილის“ ერთ-ერთ რეგიონ-ალურ გამოცემას. „ნიანგი“ პირველად დაიბეჭდა 1923 წლის 3 ივნისს.

ნაშრომში საუბარი გვექნება ჟურნალ „ნიანგის“ 1923 წლის გამოცემის კარიკატურებზე, კერძოდ, მათში ასახულ სიძულვილის ენაზე.

სიძულვილის ენა ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას განსხვავებული ჯგუფების მიმართ; ამართლებს ან რეკლამას უწევს სიძულვილს, დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

უურნალ „ნიანგის“ კარიკატურებში უცხო არ არის სიძულვილის ენის გამოყენება. გაშარქებულ პირთა დიდ ნაწილს შეადგენს სამღვდელოება, მწერლები, ბურუუა... მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი, რომლებსაც მტრად ალიქვამდა საბჭოთა ხელისუფლება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარიკატურებში ასახული სიძულვილის ენა ემსახურებოდა საერთო აზროვნების, დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

### ირაკლი ლეონიძე

## ავტონომიური მმართველობის ასწლიანი გამოცდილება საქართველოში

2021 წელს გასული საუკუნის დროების ალქმისა და შეფასების ეტალონს საქართველოს პირველი კონსტიტუციის ტექსტი წარმოადგენს. მართალია, დღესდღეობით მას არ გააჩნია კანონის მოქმედი ძალა, თუმცა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია როგორც ისტორიული ანარეკლი გასული საუკუნის კანონშემოქმედებისა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს. პირველი კონსტიტუციური მართლწესრიგისა და სულისკვეთების გადაფარვას ესწრაფვოდა საბჭოთა ხელისუფლება თავისი იდეალური კონსტიტუციებით, მაგრამ რესპუბლიკის მოქალაქეთა ცნობიერებიდან შეუძლებელი აღმოჩნდა მისი აღმოფხვრა მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ წითელი არმიის ძალმოსილებითა და რევკომის საშუალებით შთანთქა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია და სუვერენიტეტი. საქართველოს გასაბჭოება 100 წლის პერსპექტივიდან შესაძლოა ყველაზე ობიექტური მსაზ-

ღვრელით – საქართველოს პირველი კონსტიტუციის მაგალითზე შეფასდეს. ავტონომიურ მმართველობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური ტექსტის განხილვისას ნათლად ჩანს თუ რა შეიცვალა ამ 100 წლის განმავლობაში. აღქმა საკმაოდ თავისუფალია, ცხადია დღევანდელობის პრობლემებიც, მათ შორის ტერიტორიული, რომლის გადაწყვეტასაც ცდილობდა რესპუბლიკის მთავრობა.

ნაშრომის მიზანია რესპუბლიკის ავტონომიური მმართველობის საკითხის შეფასება. საკითხის, რომლის მიმართ არსებულ პრობლემათა უამთასვლამ პირველ კონსტიტუციას ისტორიული და ეროვნული დოკუმენტის ხასიათი შესძინა. ასევე კონსტიტუციური ტექსტის შესწავლისას სულ უფრო ცხადი ხდება კონკრეტულად რას ეპრძოდა საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგია: დამოუკიდებლობის, ეროვნულობისა და ადამიანის უფლებების უგულებელყოფით. დადგენა იმისა თუ რა მნიშვნელობისა და მიზნის მქონე აღმოჩნდებოდა პირველი კონსტიტუცია დამოუკიდებელ რესპუბლიკში პრაქტიკულად რომ ემოქმედა.

მნიშვნელოვანია იურიდიული განსაზღვრებები, რომელთა დახმარებით საკითხის დარეგულირებას ცდილობდნენ რესპუბლიკის მოქალაქეები და მთავრობა 100 წლის წინ. ნაშრომში განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის დანაწესები, რომელთა გააზრებისას იგრძნობა საქართველოს გასაბჭოების შედეგები. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ავტონომიური მმართველობის მქონე ტერიტორიულ ერთეულთა სახელმწიფო მოწყობის ცვლილება. დასახელებული საკითხის განხილვისას ცალსახაა თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო რესპუბლიკის უზენაესი კანონის მოქმედების ძალა და სახელმწიფოებრიობა, რაც გაანადგურა საქართველოს გასაბჭოებამ.

## მარიამ თხინვალელი

### პროლეტარული მწერლობა საბჭოთა ეპოქის საქართველოში

საქართველოში 1921 წლიდან იწყება ისტორიის ახალი ფურცელი – ცხოვრება საბჭოთა რეჟიმის ბატონობის ქვეშ. ყოველივე ამან გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, არამედ – კულტურასა და ხელოვნებაზე. საბჭოთა რეჟიმის მიზანს წარმოადგენდა მწერალთა გაპროლეტარება და, პირიქით, პროლეტართა „გამწერლება“. დემაგოგიური, ზედაპირული და ყოველგვარი ღირებულებებისაგან (იდეალების თუ განსახოვნებისაგან) დაცლილი ლიტერატურა იყო საზოგადოებაზე გავლენის მოხდენისა და საბჭოური იდეოლოგიის გავრცელების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება.

ნინამდებარე ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ და განვიხილოთ პროლეტარული ნაკადი საბჭოთა ეპოქის ქართულ მწერლობაში; განვსაზღვროთ მიზეზები, რის გამოც მწერლები კალმით ემსახურებოდნენ რეჟიმს ან უარს ამბობდნენ ადრეული პერიოდის საკუთარ შემოქმედებაზე, ასევე – რა განაპირობებდა მათს ორმაგ და მერყევ პოზიციას. საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის კვლევისას საინტერესოა ისიც, როგორ ხდებოდა სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრება და მწერლობის ეტაპობრივი „მოთვინიერება“, რისთვისაც საბჭოთა საქართველოს მმართველები უკიდურეს ზომებსაც არ ერიდებოდნენ.

პროლეტარული მწერლობის განხილვისას, როგორც ირკვევა, თავს იჩენს კიდევ ერთი ასპექტი, კერძოდ, იყო თუ არა ეს შემოქმედთა მიერ საბჭოთა ეპოქის ნამდვილი ქება-მკობა და ძველი ღირეულებების დათმობა-გადაფასება თუ მხოლოდ ეპოქის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ნაშრომში განვიხილავთ გ.ტაბიძის, ტ.ტაბიძის, გ.ლეონიძის, კ.გამსახურდიასა და საბჭოთა ეპოქის სხვა ავტორთა შემოქმედებას, გამოვყოფთ როგორც პროლეტარულ ტენდენციებს, ასევე – ეპოქასთან დაპირისპირებულ მიდგომებს, განვსაზღვრავთ მათს როლს საბჭოთა ეპოქის მწერლობის შექმნაში.

### სოფია ნიკოლაიშვილი

#### ინტერტექსტუალობა მულტიგენერულ რეკლამაში, საქართველოს ბანკის რეკლამის ანალიზი

ნაშრომის მიზანია, მნიშვნელობის თეორიის ფონზე, წარმოაჩინოს საქართველოს ბანკის რეკლამაში გამოყენებული ინტერტექსტუალურად კოდირებული ნიშნები. ამას გარდა, კვლევის შედეგები კლასიფიცირებულია ჰიტჩენის და იურას ინტერტექსტის ხეთი სახეობის მიხედვით. მრავალუანრულ, ამ შემთხვევაში საქართველოს ბანკის რეკლამაში, ინტერტექსტუალობის მნიშვნელობა და იმპლიკაციები წარმოდგენილია ინტერტექსტუალური დისკურსის კოგნიტური შესწავლისა და იდეოლოგიის თეორიის საფუძველზე. ნაშრომში მოკლედაა განხილული კვლევისთვისათვის რელევანტური თეორიული ბაზისი, რასაც მოსდევს ვრცელი ანალიზი იმ ინტერტექსტუალური ნიშნებისა რომლებიც გამოყენებულია საქართველოს ბანკის რეკლამაში, პროექტის ფარგლებში „არ გაჩერდე“.

საქართველოს ბანკის რეკლამაში წარმოდგენილი ინტერტექსტუალობა არა მარტო ენათმეცნიერული და ლინგვისტური, არამედ სოციოლოგიური და ეთნო-კულტურულუ თვალსაზრისითაც არის საინტერესო. რეკლამაში არა ერთი ინტერტექსტუალური ნიშანი პირდაპირ უკავშირდება 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინა და მომდევნო ეტაპებზე განვი-

თარებულ სოციო-კულტურულ მოვლენებს. ზოგადი იდეოლოგიური საფუძველი რეკლამისა და მიზეზი იმისა, თუ რატომ აქვს რეკლამას ის ფორმა და სახე რომელიც აქვს, ძირითადად შტაგონებულია ანტი რუსული ოკუპაციური პროპაგანდით, მოძრაობებითა და აჯანყებებით რომლებიც საქართველოში, ისტორიის მანძილზე სხვადასხვა დროს ხდებოდა იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც რუსეთმა პირველად მოახდინა ქვეყნის ანექსია. რეკლამა შეფარულად წარმოაჩენს ქართველთა ყოფა-ცხოვრებას რუსული ოკუპაციის პირობებში, მათ ბრძოლასა ამ მოვლენის წინააღმდეგ და იმას თუ როგორი ზეგავლენა მოახდინა ოკუპაციამ ქართულ ფართო საზოგადოებასა და იდეოლოგიაზე.

ყველაფერი ამის გამოვლენა მოხდა სწორედ ინტერტექსტუალობისა და ინტერტექსტუალური ანალიზის მეთოდით, რომლის გარეშეც თანამედროვე რეკლამა არ არსებობს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს ბანკის რეკლამაში გამოყენებულ ინტერტექსტუალობას არა მარტო კომერციული არამედ საგანმანათლებლო ღირებულება აქვს.

### ვიკა ომანაძე

### ქეთა კოდელაშვილი

### 1921 წლის თბილისის ბრძოლების ისტორია: მითები და რეალობა

1921 წელს 11 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისა და ბოლშევიკური წესრიგის დამყარების მიზნით საბჭოთა წითელი არმია საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრა. დღეს უკვე არავინ დავობს, რომ კონფლიქტის რეალურ მიზეზს საბჭოთა რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკა წარმოადგენდა. საბჭოთა ოკუპაცია ჩვენი ქვეყნის

უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ტრაგმული და დასამახსოვრებელი ეპიზოდია, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველოს ისტორიაში.

დღეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციიდან 100 წლის შემდგომ, ძალიან მნიშვნელოვანია მომხდარის სწორი გააზრება, ისტორიის რაციონალური და მწყობრი გადააზრება. ფაქტების უტყუარი ცოდნა აკადემიურ და საჯარო სივრცეში გამოიწვევს ამ მოვლენასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას, რომელიც პირველ რიგში აწმყოსათვის იქნება ფუნდამენტური მნიშვნელობის.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირმა და დამოუკიდებლობის შემდგომმა საქართველომ 1921 წლის ოკუპაციის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები შექმნა. ეს პროცესი ამ მოვლენის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუმცა საქართველოს გასაბჭოების შექმნილმა მრავალმა ვარაუდმა გამოიწვია 1921 წლის თბილისის ბრძოლების ისტორიის გაყოფა: მითებად და რეალობად. ჩვენი სამომავლო მოხსენება კი ემსახურება ამ მოსაზრებების განხილვასა და მათი უტყუარობის, ან მცდარობის დადგენას.

ჩვენი საკონფერენციო თემის მიზანია ახალი გამოკვლევების საფუძველზე შევაჯამოთ დამუშავებული წყაროები და ობიექტური მსჯელობა წარმოვადგინოთ 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თბილისის ბრძოლების ეპიზოდზე.

## მარიამ სამხარაძე

### „საშიში დავადებები“ ჟურნალ ნიანგის ფურცლებზე (1980 წელი)

საქართველოში კომუნისტური ტირანის დამყარებამ რიგი ცვლილებები და გარდაქმნები გამოიწვია. საბჭოთა რეჟიმის თავისებურებები აისახა როგორც ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ისე სოციალურ ფაქტორებზე, კულტურაზე, მხატვრობაზე, ლიტერატურაზე, საქმიანობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაშინ, როცა საქართველოში ეს მძიმე რეალობა არსებობდა, ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა ცნობილი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. „ნიანგი“ 1923 წლის იანვრის თვეში დაიბადა საბჭოთა რუსეთის ჟურნალის „კრიკილ“ გამოსვლიდან მაღლევე (ერთ წელიწადში).

ჟურნალი „ნიანგი“ ნამდვილად იყო სოციალური ხასიათისა. მასში განხილული იყო ის, თუ რა გავლენა მოახდინა საბჭოთა ეპოქამ საქართველოსა და მის მოქალაქეებზე. ასევე, საქართველოს ხვადასხვა რეგიონის პრობლემები(საყოფაცხოვრებო საკითხები) ხშირად იბეჭდებოდა მის ფურცლებზე. ეს იყო ერთგვარი თხოვნა დახმარებისათვის, რასაც, ვიქირობ, სიტყვით ვერ აღწევდა მოსახლეობა და ამიტომაც გზავნიდნენ მას დასაბეჭდად, იქნებ ასე მაინც დახმარებოდათ ვინმე. ჟურნალი „ნიანგის“ მიზანი იყო ემსილა ის მანკიერი თვისებები, რომლებიც თავს იჩენდა ხალხში. მასში იბეჭდებოდა სატირული და იუმორისტული ნაწარმოებები, ნახატები თუ კარიკატურები.

კონფერენციისთვის შევარჩიე ჟურნალ „ნიანგის“ ერთი, კერძოდ, 1980 წლის ნომრების ის სტატიები, რომლებშიც კარგად იჩენს თავს მანკიერი თვისებები, მედროვეობა, რაც საბჭოთა რეჟიმმა თან მოიტანა და გაავრცელა მოსახლეობაში. უმეტესწილად ყურადღებას გავამახვილებ იმ „საშიშ დავადებებზე“, რომლე-

ბიც გამოვლინდა და გამოაშკარავდა ქართულ რეალობაში რეჟი-  
მის დამყარების შედეგად. ერთ-ერთი ნომერი ეძღვნება ლენინის  
დაბადების 110 წლისთავს, რომელმაც განსაკუთრებული ყურ-  
ადლება მიიპყრო და ვეცდები ლოგიკურად დავაკავშირო ის ჩემს  
მთავარ თემასთან.

## გიორგი სვანიძე

### ბრძოლა თბილისის დასაცავად

თბილისის დასაცავად ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლის 17-24 თებერვალს რუსეთ-საქართველოს ომის დროს მარცხით დასრულდა. რამაც განსაზღვრა საქართველოს შემდეგი ბედი. ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ თუ რა მიზეზებმა განაპი-  
რობა ქართული არმიის დამარცხება.

1921 წლის ომის დროს ბრძოლა, თბილისი დაცვისთვის დაი-  
წყო 18 თებერვალს სალამოს. ქალაქს იცავდა დაახლოებით 12-15  
ათასი მეომარი: არმია, გვარდია, სამხედრო სკოლა, მოხალისეები.

მთავრასადრალმა გენერალმა კვინიტაძემ შექმნა თავდაც-  
ვის სამი მიმართულება. მარცხენა – გენერალი ანდრონიკაშვილი,  
ცენტრალური – გენერალი მაზნიაშვილი, მარჯვენა – გენერალი  
ჯიჯიშია.

19 თებერვალს მონინააღმდეგე დავამარცხეთ სორანლულში,  
მაგრამ მან მარცხენა ფრთაზე დაიკავა კოჯორი. ტაბახმელაში  
ხელჩართულ ბრძოლაში სამხედრო სკოლამ შეაცერა მონინააღ-  
მდეგე.

20 თებერვალს გავათავისუფლეთ კოჯორი. 21-23 თებერ-  
ვალს მიმდინარეობდა ბრძოლები მაცხენა ფრთაზე, ცენტრში და  
მარჯვენა ფრთაზე, სადაც კონტრშეტევა განვახორციელეთ და და-  
ვიბრუნეთ სადგური ვაზიანი.

24 თებერვალს მოწინააღმდეგებ გენერალურიშეტევა დაიწყო ყველა მიმართულებით. ასევე სცადა ჩვენი მარჯვენა ფლაგნის შემოვლა და ავჭალის დაკავება. მოწინააღმდეგე ავჭალიდან განვდევნეთ, ფრონტზე პოზიციები შევინარჩუნეთ.

მიუხედავად ამისა 24 თებერვალს საღამოს მთავარსარდალმა თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

საბოლოოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრძოლა თბილისის და-საცავად 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გარდამტები პე-რიოდი იყო, რომელმაც ომის შემდგომი განვითარება განაპირობა.

## გიული ქისიშვილი

### სოფელ წითელუბნის მეტყველების ზოგი თავისებურება

წითელუბანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის გორის მუნიციპალიტეტში და შედის შავშების თემში, გორიდან 15 კილომეტრში. წითელუბნის მეტყველება მიეკუთვნება შიდა ქართლურ კილოკავს. დღეს წითელუბანი ერთ-ერთი საზღვრისპირა სოფელია. აქ აღარავის უკვირს, თუ ერთ დღესაც რომელიმე თანასოფლელს საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში რუსი სამხედროები დააკავებენ.

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით რამდენიმე მო-საზრება არსებობს: სოფლის ასაკიანი თაობის ნაწილი ფიქრობს, რომ ამ ადგილას უნინ სასაკლაო იყო და ყველაფერი წითლად იყო შეღებილი და ამის გამო ეწოდა წითელი უბანი, ზოგი კი ფიქრობს რომ ამ ადგილას ყაყაჩოების ზღვა იყო, ამის გამო მოსწონებიათ და დასახლებულან. ზოგის მოსაზრებით კი ამ ადგილას წითელი არმიელები იყვნენ დაბანაკებულებით (რამდენად სიმართლეს შეესაბამება არც თვითონ იციან, მაგრამ წინაპართაგან მოუსმენიათ). ებრაელები ამ ადგილს წინუბანს ეძახდნენ.

სოფლის თავზე ჩომოდის მდ. ტორტლა (თორთლა). სოფლის ტერიტორია დაყოფილია ნაწილებად: ბერლელა, ჭანდრები, გალმა, მაცივრები, პალმეტა, არენდები, ბიტონები.

ამ სოფელში 120 ეთნიკურად ოსი ოჯახი, 100 აჭარელი ეკო-მიგრანტი, 17 ოჯახი მესხი (მათ პირადობაში თურქი ან აზერ-ბაიჯანელი უნდერიათ, თავს ქართველებად თვლიან) და 12 დიდი ლიახვის ხეობიდან დევნილი ოჯახი ცხოვრობს. ოსი მოსახლეობის უმეტესობას შემდეგი გვარები შეადგენს: ქისიევი, გონიევი, დრიავი, დუდავი, ბილოთაშვილი, კაძილოვი, სიუკაევი, კუსრაევი, ელიძაროვი. ასევე არიან თვაურები და ბელელურები, რომლებიც თავს ოსებად თვლიან. დიდი ლიახვის ხეობიდან, კერძოდ, ხეითი-დან სულ ორი გვარის წარმომადგენლები არიან: ხიდაშლები და მზარეულიშვილები.

28 წლის წინ ხულოს რაიონის სოფელ ჩაოდან, ხიხაძირიდან და შუახევიდან სტიქიური უბედურების საფრთხის გამო გადმო-სახლდნენ ეკო მიგრანტები: ცეცხლაძეები, შავაძეები და მახარაძეები. ამ გვარის წარმომადგენლები ასევე ცხოვრობენ სოფელ ნაწილებშიც.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ქართლურ გარემოში, მრავალე-თნიკურობის პირობებში, აჭარული და მესხური მეტყველების გან-ვითარების პირობებს, ქართულ-ოსურ ურთობებსა და სამეტყვე-ლო კოდთა გადართვის შემთხვევებს. ყურადღებას მივაქცევთ ქართულ-ოსური მეტყველების შერევის ამსახველ მასალებსა და ტრადიციებს. სამეტყველო კოდთა გადართვა შეინიშნება დარ-გობრივ ლექსიკაში, განსაკუთრებით, სამზარეულოს აღმნიშვნელ ლექსიკაში.

## მარიამ ქვლივიძე

### პოლიტიკურ შეხედულებათა ცვლილება ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედებაში

(ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე)

რუსეთის მძიმე მარწუხები საქართველოს შორეული წარ-  
სულიდან ახსოვს. ეს ზენოლა, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდიდა,  
განსაკუთრებით გამწვავდა 1801 წელს, როდესაც მან სრულიად  
დაკარგა სახელმწიფო ორიბობა და შევიდა რუსეთის იმპერიის  
შემადგენლობაში. ძალიან მძიმე და დიდი იყო რუსული ცარიზმის  
გავლენა საქართველოზე და სავარაუდოა, ამან განაპირობა ჩვენს  
სამშობლოში ახალი მოძღვრების პოპულარობა, რომელიც „მარ-  
ქისიზმის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ მარქისიზმია წარმოშვა  
მე-20 საუკუნეში, ბოლშევიზმი, რომელმაც ძალიან დიდი მსხვერ-  
პლი და დანაკარგი მოუტანა მსოფლიოს და მათ შორის საქართ-  
ველოსაც. სამწუხაროდ, ქართველი ინტელიგენცია ბოლშევიზმსა  
და რევოლუციაში ხსნას ხედავდა. მათი ჰქონდათ იმედი, რომ  
რევოლუცია მოუტანდათ დემოკრატიას და გარკვეულწილად, ეს  
მოლოდინი გამართლდა. 1918 წელს საქართველო დემოკრატი-  
ული სახელმწიფო გახდა.

მოხსენებაში ასახულია ქართველ სიმბოლისტთა გაორებუ-  
ლი პოლიტიკური შეხედულებები, კერძოდ, საუბარია ტიციან ტა-  
ბიძის, პაოლო იაშვილისა და გიორგი ლეონიძის შემოქმედების  
იმ ნაწილზე, სადაც ავტორები თავანთ ლექსებში ავლენენ ურთ-  
იერთგამომრიცხავ პოლიტიკურ შეხედულებებს. სიმბოლიზმი,  
თავისი არსით, არ გულისხმობს ლიტერატურაში რელობის ასახ-  
ვას. ნაწარმოებთა განხილვისას აუცილებელია ეპოქის გააზრება,  
რომელიც განსაზღვრავს მწერლის ემოციურ, ფიზიკურ, თუ სუ-  
ლიერ მდგომარეობას. შესაბამისად, ქართული სიმბოლიზმი ვერ  
გაექცა რეალიზმს და ისე მოხდა, რომ მათმა პოეზიამ აირეკლა

საბჭოთა პერიოდი. ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლობა დაკარგული აქვს, მაგრამ 1921 წლიდან თითქოს მშვიდდება მოვლენები. ქართველი სიმბოლისტები, მათ შორის პაოლო, ცდილობენ ბედს შეურიგდნენ და შეძლონ ადაპტირება ახალ საარსებო გარემოსთან. პაოლო იაშვილს იმასაც აბრალებდნენ, რომ თითქოს მე-11 არმიას „თეთრი ცხენითა და ეგზალტირებული ლექსით შეეგება“. თუმცა ეს პოეტის გულწრფელი არჩევანი იყო, თუ ნიღაბი, კიდევ საკითხავია?! რაც შეეხება ტიციან ტაბიძეს, მისი პოლიტიკური შეხედულებების ცვლილება კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ლექსში „ნუ გაიკირვებ“, სადაც ვკითხულობთ: „საბჭოთა მინა! გიკოცნი ფესვებს“, ხოლო 1937 წელს მას დახვრეტენ ანტისაბჭოთა მოლვანეობის ბრალდებით. გიორგი ლეონიძე კი წერს ლექსებს, რომ-ლებშიც ემხრობა საბჭოთა იდეებსა და შეხედულებებს. საინტერესოა, გიორგი ლეონიძე მართლა ემხრობოდა საბჭოთა რუსეთს და ეს იყო მისი გააზრებული ქმედება, თუ უბრალოდ გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მცდელობა და თვითგადარჩენის ინსტინქტი.

თეზისში მოცემულ საკითხებს დეტალურად და ვრცლად მიმოვინარებული მოხსენებაში.

## ანი ლვინაძე

**იმერული დიალექტი ოტია იოსელიანის  
პერსონაჟთა მეტყველებაში („დედა“, „დედულეთი“,  
„ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, „ნესვი და საზამთრო“...)**

ოტია იოსელიანს ოხზულებათა მექექსე ტომისათვის უწოდებია „ასავალ-დასავალი“, რომელშიც გაერთიანებულია მისი ავტობიოგრაფიული მოთხრობები: „დედა“, „დედულეთი“, „ჩემი „ვეფხისტყაოსანი“, „ნესვი და საზამთრო“...

მწერალი გვიხატავს და გვაცნობს იმ გარემოს და გარშემო-  
მყოფებს, სადაც იზრდებოდა. ის საუბრობს თავის ბავშობაზე,  
ოჯახზე, სიყვარულზე და ყველა იმ გრძნობაზე, რაც გამოვლილი  
და განცდილი აქვს მთელი თავისი განვლილი ცხოვრების მან-  
ძილზე.

ოტრია ოსელიანის მოთხრობებში უხვად გვხვდება დიალო-  
გები, სადაც შესაბამისად ვხვდებით მისი მშობლიური კუთხისათ-  
ვისის – იმერეთისათვის (სადაც დაიბადა და გაიზარდა) დამახასი-  
ათებელ მეტყველების თავისებურებებს ექსპრესიის მისაღწევად.  
მაგალითად: „რავა თლათ დაგლახაკლი, შე უბედუო!“; „რაფერ  
იშოვნი, თუ ხელი არ გაანძრიე?!“; „დეიკავე თოხი“; თოხიზა და  
ბარიზა ვვარგვარ მე? „მაგერ, მაგ შავ-ყვითელე რო ჩაგფრე-  
ნია კაბის კალთაში, მაგაზე არ ფიქრობ?“; „მეორე რომ სახლში  
შენს დედამთილს უბდავა კალთაში“; „აპა, რაა რომ მკლავს და  
მსპობს“; „მაგია ფიქრი, გულს ხელი დაიკრიფო და ითავცემო?“  
„იცინე და იღლიცინე-თქეა, გითხარო?!!“; „რავა თლათ წახდა და  
მეეღლო ბოლო“; „უცაბედ სხვაობას, მას აქეთია, ვერ ვიტან“; „პე-  
ტრე გოუძელი, მაშტევე გაგიარს“; „დაყვლებილი აქვს ქუჩუკის  
თვალები“; „რას შობიენ?“; „მართლა თქვი მაგი, თუ მომეყურაო“;  
„ნეტაი რავაა, ი ძლაბი და ი ბიჭი?“; „საზამთროს და ნესვს ქე  
წამოგიღებ!“ ბებია, გზა არ ვიცი, თუ რაი! „აქიდან ბერბოგირის  
ზეით რკინიგზა რო ჩანს, გაყობი, გაყობი და იქით კიდო ნაკეთები  
გზა რო გადაჭრის, იმას გაყობი“.

საინტერესოა დიალექტური ლექსიკა: უბლავა, ფინჩხი, ქუჩუ-  
კი, გადასახოვი, ნაკეთები...

მოხსენებაში წარმოვადგენთ იმერული დიალექტისათვის დამ-  
ახასიათებელ ფონეტიკურ პროცესებს: ასიმილაციის, დისიმილა-  
ციის, ბერათა დაკარგვის, ბერათა ჩართვის შემთხვევებს.

წინადადების წყობა, გამოყენებული დიალექტური ლექსიკა  
და მხატვრული გამოთქმები ხატოვნად გადმოგვცემს მოთხრო-  
ბების შინაარს, გავლენას ახდენს მკითხველზე და ქმნის პერსონ-  
აჟთა საინტერესო ტიპებსა და კოლორიტს.

## ნინო შავლოხაშვილი

### ენობრივი პროცესის გაგება-გააზრების საკითხი ფსიქოლინგვისტიკაში

ენობრივი პროცესის გაგება-გააზრების საკითხი აქტუალურია ფსიქოლინგვისტიკისათვის. ენობრივ პროცესს შეისწავლის სხვა დარგებიც: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, დიალექტოლოგია, სემასიოლოგია, ეტიმოლოგია... სხვაობას ქმნის ერთი და იგივე ობიექტის შესწავლის განსხვავებული პრინციპი და ხედვა სხვადასხვა სივრცეში. ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის ურთიერთკავშირს ენას, აზროვნებასა და ცნობიერებას შორის და აღნერს იმ მენტალურ პროცესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს შესაბამის ენობრივ ქმედებას (ი. მინდაძე).

ენათმეცნიერებაში ფსიქოლოგიის როლის აქტიურმა გამოყენებამ, საფუძველი ჩაუყარა ახალი დარგის – ფსიქოლინგვისტიკის განვითარებას. მას აინტერესებს ის ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც მონაწილეობს ენობრივი ფენომენების გაგება-გააზრების პროცესის დროს.: 1. ეს არის ენის ათვისება/ დაუფლების პროცესი (კანონზომიერებები და პირობები. როგორც მშობლიური, ასევე უცხო ენის). 2. რა სახის ცოდნაა მოცემული ადამიანის გონებაში. 3. კომუნიკაციის აქტის კვლევა (რა ენობრივი ფსიქიური და კოგნიტური პროცესები უდევს საფუძვლად). 4. ენის ათვისების საკითხი (თ. გამყრელიძე). მოხსენებაში გავაანალიზებთ ვილჰელმ ვუნდტის, ჩარლზ ოზგუდის, ლეონარდ ბლუმფილდის, ბარუს სკინერის, სეპირ-უორფის მოსაზრებებს. განსხვავებულია ნოამ ჩომსკის ნატივისტური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, მეტყველება მიჩნეულია ადამიანის უნიკალურ მიღწევად, რომელიც ტვინის სტრუქტურებშია ამოტვიფრული და იგი გენეტიკურად განპირობებულ უნარს წარმოადგენს. ბავშვს აქვს თანდაყოლილი უნარი დაამუშაოს ინფორმაცია და შექმნას

შიდა სტრუქტურები. მისი მოსაზრებით, სწორედ ეს შიდა სტრუქტურები ასრულებენ ლინგვისტურ ფუნქციას და არც ერთ სხვა ცოცხალ ორგანიზმს ეს არ გააჩნია.

ენობრივი პროცესის გაგება-გააზრების საკითხების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მნიშვნელოვანია მშობლიური ენისა და უცხო ენების სწავლებისას. განსაკუთრებით საინტერესოა ბავშვის მეტყველების განვითარებაზე დაკვირვება. მოხსენებაში ნარმოვადგენთ ჩვენეულ მიდგომებს.

## თამთა ცერცვაძე

### მერაბ კოსტავა ქართველი ერის კულტურული მისიის შესახებ

მერაბ კოსტავა გამორჩეული მოღვაწეა მეოცე საუკუნის ქართველ დისიდენტთა შორის. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მიუძღვნა. მერაბ კოსტავას უმთავრესად ვიცნობთ, როგორც პოლიტიკურ ფიგურას, თუმცა ამასთანავე აღსანიშნავია მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური და მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. მერაბ კოსტავა არის ავტორი საინტერესო ნაშრომებისა „ფიქრები საქართველოს მისიაზე“ და „ფიქრები ქართულ კულტურაზე“, რომლებშიც იგი აყალიბებს საკუთარ ხედვას საქართველოს კულტურული მისიის საკითხზე.

მერაბ კოსტავას თვალთახედვით, საქართველომ ისტორიულად იტვირთა უდიდესი ღვაწლი – დაეცვა ქრისტიანული რწმენა ურთულეს პოლიტიკურ რეგიონში. სულიერ ღირებულებათათვის ბრძოლა, მისი აზრით, ქართველი საზოგადოების ისტორიული მისიაა. ქართული კულტურის სპეციფიკა კი მდგომარეობს აღმოსავლური და დასავლური კულტურული ნაკადების სინთეზში.

პუბლიცისტი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე და აღნიშნავს, რომ „მხოლოდ ქართული ენისადმი სწორ მიმართებას შეუძლია საშური წინამდღვრების მომზადება საქართველოს მისაბაძ ერად გადაქცევისათვის“. მერაბ კოსტავას თვალთახედვით, ქართულ კულტურას აქვს იმის პოტენციალი, რომ თავისი მიღწევებით გვერდით ამოუდგეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კულტურულ მონაპოვარს და თანამედროვე, სულიერებას მოკლებულ სამყაროში შეასრულოს ერთგვარი სულიერი ორიენტირის მისია.

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მერაბ კოსტავა გახლავთ ის პიროვნება, რომლის ცხოვრება და ნააზრევი გზას უკვალავს ჭეშმარიტი ეროვნული ღირებულებების მაძიებელთ. მისი სახით ვეცნობით მოაზროვნეს, რომელიც წუხდა და განიცდიდა საქართველოს არა მხოლოდ პოლიტიკურ მომავალს, არამედ იმ კულტურულ საფრთხეებსა და საშიშროებებსა, რაც შეიძლებოდა ამ მხრივ ქვეყანას დამუქრებოდა.

## ხატია ხაბაშვილი

### 1921 წლის ოკუპაციის ასახვა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გადაყენების, ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებისა და საქართველოს ტერიტორიის ანექსია-ოკუპაციის მიზნით 1921 წელს დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. საქართველოს რესპუბლიკა წითელმა არმიამ დაიპყრო და იგი მაღლე საბჭოთა კავშირის ნაწილად აქცია.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ კონფლიქტი საბჭოთა ექსპანსიური პოლიტიკის შედეგი იყო, რომლის მიზანი რუსეთის იმპე-

რიის მიერ სრულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება წარმოადგენდა.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა იმდროინდელი პოპულარული გაზეთები, რომელიც ბოლშევიკების მიერ საქართველოს 1921 წლის ოქუპაციას აშუქებდა.

მოცემულია სხვადასხვა ისტორიკოსებისა და მოღვაწეების ნარატივი საქართველოს მთავრობის წინაშე მდგარი სირთულეების კუთხით განვითარებული პროცესების შესახებ.

აღნერილია 1918-1921 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების ზოგიერთი თვალსაჩინო სამხედრო წარმომადგენლის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები.

### თინათინ ფეიქრიშვილი

#### პეპელა უფრო დიდხანს ცხოვრობს, ვიდრე კონსტიტუცია – პეპლის ეფექტი სამართალში

ნაშრომში მოკლედ იქნება მიმოხილული 1921 წლის ის პერიოდი, როდესაც დამფუძნებელი მამები მუშაობდნენ კონსტიტუციის მიღებაზე და იქნება წარმოდგენილი მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიზნის მისაღწევად იბრძოდნენ ისინი. კონსტიტუციამ სულ რაღაც 4 დღე იარსება, ამდენად აღნიშნულ პერიოდში ყველამ კარგად უწყოდა მოსალოდნელი ოქუპაციის შესახებ. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ კონსტიტუცია მიღებულ იქნა ფორს-მაჟორში. შეიძლება ითქვას, რომ მისი მიზანი იყო დაეტოვებინა მემკვიდრეობა მომავალი თაობებისათვის.

მართალია მან ოთხი დღე იარსება, როგორც პეპელამ, თუმცა მან გამოხატულება პპოვა ამდენი წლის შემდეგაც და თავის ფუნქციას ასრულებს დღესაც, რის გამოც მაშინდელი კონსტიტუციის არსებობას შეიძლება ვუწყოდოთ პეპლის ეფექტი. რთული სათქმე-

ლია თუ სამართლებრივად რა როლი შეასრულა მისმა არსებობამ ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან მიუხედავად მცდელობებისა, ძველი, მაშინდელი რედაქტორით კონსტიტუცია ვერ მიიღო ჩვენმა ქვეყანამ შეცვლილი პოლიტიკური ვითარებისა თუ სხვადასხვა გამოწვევის გამო, თუმცა ის ღირებულებითი კონტექსტი შენარჩუნდა, რაც პროგრესულად ახასიათებდა მაშინდელ კონსტიტუციას. მთავარი კი ის არის, რომ 1921 წლის კონსტიტუცია დღესაც შეიძლება მივიჩნიოთ ქვეყნის სავიზიტო ბარათად, რადგან მან შემოინახა იმ პერიოდის ხედვები და კულტურა განსაკუთრებით ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

საბჭოთა კავშირის მოტანილ მძიმე შედეგებს დღესაც იმკის ჩვენი საზოგადოება. ზოგადად, გავლენა სხვადასხვაგვარია იმ-ისდა მიხედვით, თუ რამდენად მედეგია ერი, ამას კი, თავის მხრივ ისტორია და, ამასთან, ანმყოც აყალიბებს. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის მიღებას ჰქონდა ფუნქცია, გაცხადებულიყო და საზოგადოების ცნობიერებაში კიდევ ერთხელ გამჯდარიყო ის ღირებულებები და სულისკვეთება, რაც სახასიათოა თავისუფალი სახელმწიფოსა და დემოკრატიული ქვეყნისთვის. ეს სწორედ ის მემკვიდრეობაა, რაც მოქალაქეს შეახსნებს იმას, თუ რა ღირებულებებისთვის იბრძოდნენ მისი წინაპრები და გააღვიძებს მასში იმედს სწორედ წინაპრების იმედის ის ნათელი გამოხატულება, რომელიც მატერიალიზდა კონსტიტუციის პირვანდელ რედაქციაში. ამ კონტექსტში შეიძლება მოშველიებულ იქნას ტიციან ტაბიძის ლექსიდან ციტატა:

„ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება  
და ეს მეყოფა გამოსარჩლებად.“

## ვიკა ჭავჭანიძე

### 1921 წლის ოკუპაცია ლიტერატურული პერსპექტივიდან, ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო (კახური ქრონიკები)“

ოთარ ჭილაძე წერს: „საბჭოთა კავშირი-ხალხთა საბყრობილება“. ვფიქრობ, ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა იმდროინდელი საზოგადოება და რომელ ეპოქასაც სჭირდება ახლებური გააზრება, რადგან სწორედ ამ პერიოდის შეუფასებლობა მნიშვნელოვან სიცარიელეს წარმოშობს ქართული სოციოკულტურული სივრცის გააზრებისათვის.

საინტერესოა, როგორ აისახა ეს პერიოდი ლიტერატურაში. ზაირა არსენიშვილის ეპოქალური რომანი, „ვა სოფელო (კახური ქრონიკები)“ სწორედ საბჭოთა პერიოდს ასახავს. სამი ქალის ცხოვრების ისტორიის მაგალითზე ის მტკიცნეული პრობლემებია წარმოჩენილი, რომელიც არა ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთლიანად იმდროინდელ საქართველოს აწუხებდა. რეპრესიები, ჩაგვრა, საზოგადოების დეგრადაცია, რომელმაც ადამიანებს ცხოვრება დაუმახინჯა. თხრობის სტილი, ფორმულირება, სიმბოლოები და კახური იუმორის გამოვლენაც კი, ეხმარება მკითხველს მეტად გაითავისოს ამ რომანის მთავარი არსი. მასში ნაჩვენებია, როგორ ებრძვის სისტემა განსხვავებულ აზრს, ინდივიდუალურობას და როგორ ულახავენ ღირსებას იმ ადამიანებს, რომელნიც ამას არ იმსახურებენ.

ზაირა არსენიშვილის რომანის წაკითხვის დროს, ჩნდება განცდა, თითქოს ავტორი მთელი ცხოვრება წერდა ამ რომანს. მას საკუთარ თავზე აქვს გამოვლილი მთელი ამ პროცესის მანკი-ერება, რადგან მასაც დაუხვრიტეს მამა და მასაც დაუმახინჯეს

## თეზისები

---

ცხოვრება, რომელიც მან შემოქმედებაში ასახა და რომელმაც მისცა ბიძგი, რომ დაეწერა ეს რომანი. იგი არ არის დამარცხებული, პირიქით, იგი იმარჯვებს, რადგან სწორად შეაფასა ის მდგომარეობა და ყოფა, რომელმაც შებოჭა ადამიანთა აზროვნება და განვითარება.

ნაშრომის მიზანია, განვიხილო ზაირა არსენიშვილის რომანის თხრობის სტილი, როგორ ასახა მან საბჭოთა კავშირის პერიოდი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის მაგალითზე, რომლის საშუალებით შეგვიძლია მთლიანად ქვეყნის ტრაგედია და იმდროინდელი ყოფა დავინახოთ.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია

1921 წლის ისტორიულ-პულიტურული მოვლენები –  
საქართველოს ოკუპაცია 100 წლის პერსპექტივიდან

პროგრამა და თემისები



29 მაისი  
2021